უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

შპს „პსპ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

2013

ს ა რ ჩ ე ვ ი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა ----------3
სრული შემოსავლების ანგარიშგება ----------4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ----------6
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება ----------7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები----------8

1. დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პსპ დაზღვევის“

2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორის – შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისას“ მიერ ჩატარებული იქნა შპს **„პსპ დაზღვევის“**-ს (შემდგომში – *კომპანია*) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად – *ჯგუფი*) ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2012 წლის სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განმარტებებს.

2. *ჯგუფის* ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტაციას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუტიდის პროცედურებს შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორების მოსაზრებებზე და ხდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას მატერიალური შეცდომების ან თაღლითობის შედეგად ანგარიშგების დამახინჯების რისკი. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

3. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, შპს **„პსპ დაზღვევის“**- 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების *(IFRS)* მიხედვით, საქართველოს საგადასახადო და სადაზღვევო კანონმდებლობის დაცვით. წარმოდგენილი 2012 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებს და ხარჯებს, ფულადი სახსრების მოძრაობას 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისას“
დირექტორი,

ნინო კალანდია

14.05.2013 წ

	შენიშვნა	2,012	2,011
მოზიდული სადაზღვევო პრემია		26,369,548	5,780,290
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(13,023,245)	(2,481,149)
გამომუშავებული პრემია:	4	*13,346,303*	*3,299,142*
სადაზღვევო ზარალები	5	(11,017,376)	(5,500,247)
მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი	6	(1,023,229)	(289,015)
ბროკერის და აგენტის საკომისიოს ხარჯები	7	(103,141)	(16,926)
შემოსავალი/ზარალი კაპიტაციიდან		-	
შემოსავალი ინვესტიციიდან		-	
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:		*1,202,556*	*(2,507,045)*
შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან		14,130	
სამედიცინო მომსახურების ხარჯები		(24,206)	
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,298,096)	(821,310)
სულ საოპერაციო მოგება:		*(1,105,616)*	*(3,328,355)*
ფინანსური შემოსავალი	9	482,133	193,902
ფინანსური ხარჯი		(1,711)	(5,426)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		(5,761)	(84,101)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		64,832	(3,202)
მოგება დაბეგვრამდე:		(566,123)	(3,227,182)
მოგების გადასახადი	10	(81,697)	(474,408)
პერიოდის მოგება (ზარალი)		(484,426)	(2,752,773)
სულ წლის ბოლოს სრული შემოსავალი (ხარჯი)		(484,426)	(2,752,773)

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ფინ. დირექტორი _____ *ვ.ბეჟაშვილი*

	შენიშვნები	ბალანსი 01.01.2013	ბალანსი 01.01.2012
სულ მიმდინარე აქტივები:		24,016,762	7,103,556
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	6,733,920	3,697,533
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	12	16,939,417	3,235,279
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		19,942	202
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	13	105,588	112,806
წინასწარ გადახდილი გადასახადები		23,287	10,091
მისაღები პროცენტები	14	194,607	47,644
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,943,921	2,296,273
ძირითადი საშუალებები	15	328,055	174,503
არამატერიალური აქტივები		15,138	4,016
გადავადებული საგადასახადო აქტივი	16	546,426	466,936
მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შეკვსებაზე		1,054,302	1,650,817
აქტივები სულ:		25,960,683	9,399,829
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,234,826	2,212,791
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	17	915,659	139,564
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		1,023,229	289,015
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი		2,223,169	1,751,463
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	18	72,769	32,749
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		15,997,896	2,974,650
გადავადებული შემოსავალი	19	15,997,896	2,974,650
		-	
ვალდებულებები სულ:		20,232,722	5,187,442
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		9,000,000	7,000,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(3,272,039)	(2,787,613)
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(484,426)	(2,752,773)
კაპიტალი სულ:		5,727,961	4,212,387
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		*25,960,683*	*9,399,829*

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ფინ. დირექტორი _____ *ვ. ბეჟაშვილი*

	2012 წელი	2011 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	11,867,397	2,587,294
სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	14,130	
ანაზღაურებული ზარალები	(8,929,662)	(3,304,909)
გადახდილი ხელფასები	(943,342)	(298,200)
აგენტებისთვის და ბროკერებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(75,836)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,330,473)	(291,020)
მიმწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები (ავანსები)	-	(8,590)
გადახდილი საიჯარო ქირა	-	(330)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა და ჯარიმები	(273,174)	(136,382)
საქვეანგარიშო თანხები	(13,503)	
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	*315,536*	*(1,452,138)*
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(202,998)	(75,738)
მიღებული პროცენტები	333,775	152,657
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	*130,777*	*76,919*
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციების ემისიისგან / კაპიტალის ზრდისგან	2,596,515	3,473,043
გადახდილი დივიდენდები	-	
გადახდილი პროცენტები	(1,711)	(5,425.95)
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	*2,594,804*	*3,467,617*
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	(4,730)	(84,188)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	*3,036,387*	*2,008,210*
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	*3,697,533*	1,689,323
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:	6,733,920	3,697,533

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ფინ. დირექტორი _____ *ვ. ბეჟაშვილი*

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ:
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის	2,500,000	-		**2,500,000**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	4,500,000			**4,500,000**
გაცხადებული დივიდენდები				
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(2,787,613)	**(2,787,613)**
ნაშთი 2012 წლის 1 იანვრისთვის	**7,000,000**	-	**(2,787,613)**	**4,212,387**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	2,000,000			**2,000,000**
გაცხადებული დივიდენდები				
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(484,426)	**(484,426)**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	**9,000,000**	-	**(3,272,039)**	**5,727,961**

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ფინ. დირექტორი _____ *ვ. ბეჟაშვილი*

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „პსპ დაზღვევა" (შემდგომში – კომპანია) დაარსდა 2007 წლის 24 დეკემბერს საქართველოს *"მეწარმეთა შესახებ"* კანონმდებლობის შესაბამისად. 2010 წლის 16 აპრილს კომპანიამ აიღო სადაზღვევო ლიცენზია, რომლითაც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. *კომპანიის* გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი უდრის 9000000 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 7945697,55 ლარი. მისი 100% დამფუძნებელი არის საქართველოს მოქალაქე, კახაბერ ოქრიაშვილი. საწარმო დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №148/3. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია – 204545572.

კომპანიას ფლობს ორი სახის ლიცენზიას სადაზღვევო საქმიანობაში – სიცოცხლის და არა-სიცოცხლის სადაზღვევო პროდუქტებთან დაკავშირებით. ამ ორ ლიცენზიასთან ერთად კომპანია ასევე ფლობს გადაზღვევის ლიცენზიას, როგორც სიცოცხლის ასევე არასიცოცხლის სადაზღვევო საქმიანობაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს თითქმის ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა, თუმცა 2012 წლის მანძილზე კომპანია ახდენდა ძირითადად ჯანმრთელობის, მათ შორის სიცოცხლის დაზღვევას.

2012 წლის განმავლობაში კომპანიას ჰყავდა საშუალოდ 100-მდე მომუშავე თანამშრომელი.

შპს „ნიუ კლინიკა" (შემდგომში - *შვილობილი კომპანია*) წარმოადგენს დამფუძნებელი კომპანიის 100%-ით ფლობილ შვილობილ კომპანიას. ეს კომპანია დამფუძნებელი კომპანიის მიერ დაარსებულ იქნა 2012 წლის 10 თებერვალს, იურიდიული მისამართით – საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №150. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია – 404415753. კომპანიის დირექტორია ნინო კეკენაძე. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 32500 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 23800 ლარი.

შპს „ნიუ კლინიკა"-ს ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება.

2. შვილობილი კომპანიები

შპს "პსპ დაზღვევა" წარმოადგენს დამფუძნებელს, რომელიც მოიცავს ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ შემდეგ შვილობილ საწარმო(ებ)ს:

შვილობილი კომპანია	ქვეყანა	საწესდებო კაპიტალი	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	2012
შპს „ნიუ კლინიკა"	საქართველო	32500 ლარი	სამედიცინო მომსახურება	10.02.2012	100%

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (IFRS), რომლებიც გამოცემულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ (IASB) და საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციებთან, რომლებიც თავისთავად გამოცემულია ინტერპრეტაციების კომისიის მიერ (IFRIC).

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, თუკი ტექსტში სპეციალურად მითითებული არ არის სხვა რამ. კომპანიის ერთადერთ შვილობილ კომპანიას, რომელიც შედის კონსოლიდციაში, სააღრიცხვო წელი უმთავრდება ისევე როგორც დედა-კომაპნიას - 31 დეკემბერს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებაზე რომ ჯგუფი თავის ფუნქციონირებას განაგრძობს როგორც „ფუნქციონირებადი საწარმო". კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დღისთვის ცნობილი არ არის ისეთი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიუთითებს იმის შესახებ, რომ ჯგუფი შეწყვეტს თავის უწყვეტ ფუნქციონირებას.

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგების მოსამზადებლად აუცილებელია, რომ ჯგუფის მენეჯმენტმა მოახდინოს შეფასებები და გააკეთოს გარკვეული დაშვებები, რომლებიც მომავალში იმოქმედებენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე, შემოსავლების ოდენობაზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე მათ ასახვაზე ფინანსური ანგარიშგებაში. ეს დაშვებები და შეფასებები დაფუძნებული იქნება ჯგუფის გამოცდილებაზე და სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც გონივრულად წარმოისახებიან სიტუაციიდან გამომდინარე.

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი საწარმოები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შვილობილი კომპანიები აკმაყოფილებენ გასაყიდად გამიზნული კლისიფიცირების კრიტერიუმებს) წარმოადგენენ ისეთ კომპანიებს, რომლებშიც ჯგუფი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ნახევარზე მეტს ხმებს ან უფლება აქვს სარგებელის მიღების მიზნით მართოს ისინი, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ასეთი საკუთრება აშკარად არ გულისხმობს კონტროლს. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ მომენტიდან, როცა ჯგუფი მოიპოვებს მათზე კონტროლს და წყდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს.

ფულადი ნაკადები

კომპანია წარმოადგენს ფულად ნაკადებს სადაზღვევო კონტრაქტების გაყიდვიდან და გადაზღვევის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) კონტრაქტების შესყიდვიდან როგორც საოპერაციო ფულად ნაკადებს, ვინაიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობა სწორედ სადაზღვევო საქმიანობაა.

სადაზღვევო ხელშეკრულებები და სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

სადაზღვევო ხელშეკრულებები განისაზღვრება, როგორც ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების ამოქმედების მომენტიდან, ან ხელშეკრულების ამოქმედების მომენტში. სადაზღვევო რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკი დამოკიდებულია დაზღვეული შემთხვევის ალბათობაზე და მისი სამომავლო შედეგის მოცულობაზე. მას შემდეგ რაც ხელშეკრულება

აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, ის განიხილება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი დარჩენილი მოქმედების პერიოდის განმავლობაში (თუკი არ მოხდება მისი გაუქმება/ანულირება), იმ შემთხვევაშიც კი თუ სადაზღვევო რისკი მკვეთრად შემცირდება.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სხვადასხვა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების /პოლისების გაყიდვით. კომპანია პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისისა თუ გარანტიის მოქმედება. პოლისის და გარანტიის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის (გარანტიის საკომისიოს) სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავალი"-ის მუხლში.

სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო ხარჯებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავალების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში. სადაზღვევო პრემიების ის ნაწილი, რომელიც შემდგომ პერიოდებს განეკუთვნება, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმგვარად, რომ ამონაგები აღიარებულია რისკის პერიოდში, ან მოსალოდნელი სამომავლო სარგებლის პროპორციულად.

სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვების ფორმირების წესს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი. 2012 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა კანონმდებლობით განსაზღვრული სამი სახის რეზერვი: გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

კომპანიის განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი შედგება ორი ნაწილისგან: რეზერვის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიაში შემოვიდა საბუთის (ინვოისის) საფუძველზე; რეზერვის ის ნაწილი, რომლის ოდენობა არ არის დადასტურებული საგადასახადო საბუთით, მაგრამ რომლის ოდენობის სანდო შეფასება შესაძლებელია.

ანარიცხები

ანარიცხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ტარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული გარემოებების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გასვლა აღნიშნული ვალდებულების დასაფარავად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული კომპანიის სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბანკო დეპოზიტებზე.

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარდება სადაზღვევო პოლისის პირობებზე დაყრდნობით და განისაზღვრება საკონტრაქტო თანხით (ღირებულებით). სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურებათან მიმართებაში. გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ იმას, რომ შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საბალანსო ღირებულების აღდგენა. გაუფასურების ზარალი აღიარდება კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

გადაზღვევის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნები მოიცავს გადაცემულ სადაზღვევო ვალდებულებებისათვის სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. ნაკისრი გადაზღვევის პრემიების აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც პირდაპირ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა. გადამზღვევლისთვის გადახდილი თანხები აღიარდება გადაზღვეული პოლისებისა და გადაზღვევის კონტრაქტების მიხედვით.

გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ყველა გადაზღვეულ აქტივზე, როდესაც ჩნდება გაუფასურების საშიშროება. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მაშინ თუ არსებობს იმის მტკიცებულება რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მიიღოს მისთვის გადასახდელი ყველა თანხა კონტრაქტის პირობების შესაბამისად და ამის შეფასება სანდოთ არის შესაძლებელი.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს სადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბუღალტრული აღრიცხვის 39-ე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების მქონე ფინანსურ აქტივებად სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადიან ინვესტიციებად, ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. თავდაპირველად ფინანსური აქტივები აღირიცხება საბაზრო ღირებულებით, ამასთან, ისეთ შემთხვევაში, თუ ინვესტირება მოხდა არასაბაზრო ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, მათ სამართლიან ღირებულებას ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები. ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ინვესტიციის შეძენის ან წარმოქმნის მიზანზე. საერთოდ, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, რადგან ჯგუფის სტრატეგიას წარმოადგენს მართოს ფინანსური

აქტივები, რომლებიც შეიძინა მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფარად, იმავე საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით. გასაყიდად არსებული და ვადამდე ფლობილი კატეგორიები გამოიყენება მაშინ, როდესაც შესაბამისი ვალდებულება (მათ შორის აქციონერთა ფონდები) იმართება პასიურად და/ან აისახება ამორტიზებული ღირებულებით. როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით განსაზღვრულ ან ბაზარზე დადგენილ პერიოდში.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრადი გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი შედის ინვესტიციის ღირებულებაში. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერის ან გაუფასურების, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ასახვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც არსებობს თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი არ გაიქვითება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის მოთხოვნილი ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით.

ძირითადი საშუალებები

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული (პირველადი) ღირებულებით ცვეთის გათვალისწინებით. პირველადი ღირებულება შეიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ძირითადი საშუალებების შეძენასთან. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარიმართება ჯგუფისკენ და აქტივის ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია. რემონტთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება შესაბამისი პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოანგარიშება ხდება მათი პირველადი ან გადაფასებული ღირებულების სალიკვიდაციო ღირებულებამდე თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, კერძოდ:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი;
- კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები - 5 წელი;

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება, ან ის მზადაა ესქპლუატაციში გაშვებისთვის.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხორციელდება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში; ამ შემთხვევაში, ზრდა აისახება კონსოლიდირებულ

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას, ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან, გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშეალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

არამატერიალური აქტივები

ლიცენზიები

ლიცენზიები ასახულია თავდაპირველი ღირებულებით. ლიცენზიებს აქვთ შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა და აღირიცხებიან თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოანგარიშება ხდება ღირებულების თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (15 %, 6,7 წელი).

კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და მონტაჟზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ამ დანახარჯების ამორტიზაცია ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (15%, 6,7 წელი). კომპიუტერული პროგრამების შემუშავებასა და მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში მათი წარმოქმნის მიხედვით. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ცალკე აღებული ინდივიდუალური პროგრამული პროდუქტის შემუშავებასთან, რომელსაც ჯგუფი გააკონტროლებს და რომლის გამოყენებიდანაც, სავარაუდოდ, ერთ წელზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მიღებული იქნება შემოსავალი, რომელიც გადააჭარბებს თვითღირებულებას, აღირიცხება არამატერიალური აქტივების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები შეიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და გადანაწილებადი ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

სადაზღვევო ვალდებულებები

ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს დასაფარი მოთხოვნების რეზერვს, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და მომხდარ, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვს. ზოგადი საკონტრაქტო ვალდებულებები ეფუძნება ყველა იმ მოთხოვნის განსაზღვრულ საბოლოო ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილ იქნა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი გაცხადება. ამას ემატება მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარჯები.

ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გაცვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას. რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს მის მიმდინარე რისკს და ვალდებულების ადეკვატურობის ტესტით განსაზღვრავს მოსალოდნელი მოთხოვნების და გადავადებული შესყიდვის ხარჯების მეტობას გამოუმუშავებელ პრემიასთან მიმართებაში.

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მოწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

გადასახადები

მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადისაგან. სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოგების გადასახადი პირდაპირ აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება უშუალოდ კაპიტალის მუხლებს. ასეთ შემთხვევებში მოგების გადასახადი აისახება პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე წლის გადასახდელ გადასახადს, რომლითაც იბეგრება ერთი წლის შემოსავალი იმ განაკვეთით, რომელიც მოქმედებს საანგარიშო პერიოდისათვის. ასევე ამ დროს ხდება წინა წლებში გადახდილი გადასახადების კორექტირება.

გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, რომელიც გამოითვლება ფინანსური ანგარიშგებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნების თანხებს შორის დროებითი სხვაობით. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის კანონიერი უფლება, ანუ თუ ეს აქტივები და ვალდებულებები ეხება ერთსადაიმავე საგადასახადო ორგანოს.

ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოური ვალუტის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო გაცვლითი კურსით საანგარიშგებო თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში

განხორციელებული ოპერაციების გადაფასებით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი (საკურსო სხვაობა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგების ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში ვალუტის გადაცვლის კომპონენტის გამოკლებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით აღიარებულია უცხოურ ვალუტაში, გადაიყვანება თავდაპირველი ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული არამონეტარული მუხლების კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი სავალუტი გაცვლითი კურსის გამოყენებით. სხვაობები ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს არსებულ სებ-ის სავალუტო გაცვლით კურსს შორის ჩართულია ოპერაციებში, როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები 2011 და 2012 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგენდა 1.6703 და 1.6567 ლარს 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

4. მოზიდული სადაზღვევო პრემია

2012 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო სადაზღვევო შემოსავალი სამედიცინო (ჯანმრთელობა, უბედური შემთხვევა და სიცოცხლე), ავტომობილების (კასკო და პასუხისმგებლობა) და სამოგზაურო პოლისების (კომბინირებული) გაცემიდან.

	2012 (ლარი)	2012 (ლარი)	2012 (ლარი)	2012 (ლარი)
	სამედიცინო დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	სამოგზაურო დაზღვევა	სულ
მოზიდული ჯამური პრემია	26,214,206	144,979	10,364	26,369,548
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(12,996,395)	(26,496)	(354)	(13,023,245)
	13,217,811	118,482	10,010	13,346,303

5. სადაზღვევო ზარალები

2012 წლის განმავლობაში *კომპანიის* სადაზღვევო ზარალებს წარმოადგენდა სამედიცინო (სიცოცხლე და უბედური) შემთხვევებიდან და ავტომანქანების (კასკო და TPL) შემთხვევებიდან დამდგარი ზარალების ხარჯებს 11 017 376 ლარის ოდენობით.

6. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი

კომპანია მომხდარ მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვს ქმნის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. 2012 წელს კომპანიის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი წარმოადგენდა კომპანიის მიერ 2012 წლის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიის 5% - 1 023 229 ლარი.

7. ბროკერების და აგენტების საკომისიოს ხარჯები

საანგარიშო პერიოდში კომპანიის საკომისიო ხარჯებს ძირითადათ წარმოადგენდა სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან დაკავშირებული ბროკერებისა და აგენტებისათვის გადახდილი ანაზღაურება. საკომისიო ხარჯები, როგორც წესი, წარმოადგენენ ფიქსირებულ გადასახადებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი სადაზღვევო კონტრაქტების (პოლისების) მოზიდვასთან კომპანიაში. მათი აღრიცხვა ხდება სისტემატურად, მომსახურების უშუალოდ მიღების პერიოდებში.

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
შრომის ანაზღაურება	1,241,323	411,471
იჯარა	155,591	116,240
მარკეტინგის ხარჯი	163,452	5,600
საკანცელარიო ხარჯები	28,802	85,123
საოფისე ინვენტარის ხარჯები	63,104	
საგადასახადო ხარჯები	1,506	44,051
საბანკო ხარჯები	33,594	8,434
საკონსულტაციო ხარჯი	110,587	49,177
ცვეთა და ამორტიზაცია	52,467	21,079
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,795	10,174
ოჯახის ექიმების მომსახურების ხარჯები	345,024	22,982
სხვა ხარჯი	96,853	46,980
	2,298,096	821,310

9. ფინანსური შემოსავლები და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსურ შემოსავალს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა საქართველოს ხუთ ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები:

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
ბანკი ქართუ	41,967	160,740
ბანკი რესპუბლიკა	194,597	6,247
ლიბერთი ბანკი	103,773	17,849
ვითიბი ბანკი	11,089.23	
პროკრედიტ ბანკი	57,366	
საქართველოს ბანკი	69,290	368
თიბისი ბანკი	4,052.02	8,698
	482,133	193,902

კომპანიის ფინანსური ხარჯი შედგებოდა 2012 წლის განმავლობაში მიღებულ საბანკო გარანტიებზე (სატენდერო და ხელშეკრულების შესრულების გარანტიები) გადახდილი გადასახადებისგან – 1 711 ლარის ოდენობით.

10. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება:

	2012 წელი	2011 წელი
შპს „პსპ დაზღვევა"	(79 489)	(474 408)
შპს „ნიუ კლინიკა"	(2 208)	
სულ მოგების გადასახადის ხარჯი:	(81 697)	(474 408)

მოგების გადასახადის ხარჯების სტრუქტურა ჯგუფში შემავალი კომპანიების მიხედვით შემდეგია:

შპს „პსპ დაზღვევის" მოგების გადასახადის ხარჯის სტრუქტურა

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(549,956)	(3,227,182)
მოგების გადასახადის ეფექტური პროცენტი	15%	15%
ფინანსური მოგების გადასახადი	(82,493)	(484,077)
გამოუქვითავი ხარჯებით გამოწვეული ცვლილება	3,004	6,608
დამატებითი მოგება გადასახადის მიზნებისათვის		3,061
მოგების გადასახადის შემოსავალი (ხარჯი)	(79,489)	(474,408)

შპს „ნიუ კლინიკის" მოგების გადასახადის ხარჯის სტრუქტურა:

	2012 წელი (ლარი)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(14,720)
მოგების გადასახადის ეფექტური პროცენტი	15%
ფინანსური მოგების გადასახადი	(2,208)
გამოუქვითავი ხარჯებით გამოწვეული ცვლილება	
დამატებითი მოგება გადასახადის მიზნებისათვის	
მოგების გადასახადის შემოსავალი (ხარჯი)	(2,208)

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 31.12.2012	ნაშთი 31.12.2011
	(ლარი)	(ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	3,045	7,194
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	857,317	743,323
დეპოზიტები	5,873,558	2,947,016
	6,733,920	3,697,533

12. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება სამედიცინო, სამოგზაურო და ავტომობილების დაზღვევიდან 16 939 417 ლარის ოდენობით.

13. სხვა მიმდინარე მოთხოვნები

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის სხვა მიმდინარე მოთხოვნებს შემდეგი სტრუქტურა აქვს:

	ნაშთი 31.12.2012	ნაშთი 31.12.2011
	(ლარი)	(ლარი)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	91,453	112,286
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	14,135	520
	105,588	112,806

14. მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან მისაღები ჰქონდა დარიცხული პროცენტები შემდეგი სტრუქტურით:

	ნაშთი 31.12.2011 (ლარი)	ნაშთი 31.12.2011 (ლარი)
თი ბი სი ბანკი		8,393
ლიბერთი ბანკი	67,085	17,137
საქართველოს ბანკი		
ბანკი რესპუბლიკა	58,883	4,870
პროკრედიტ ბანკი	57,519	
ვითიბი ბანკი	11,121	
ქართუ ბანკი		17,243
	194,607	47,644

15. ძირითადი საშუალებები და არამატერილური აქტივები

	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები (GEL)	მანქანა-დანადგარები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	113526	83092.32			5078	**201696.48**
დამატება	21464	114896	11508	56016.8	13256	**217140.79**
შემცირება						
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**134990.38**	**197988.78**	**11508**	**56016.8**	**18334**	**418837**
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება						
ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10469	11647			1077	**23192.92**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	14276	31835	1038	3183	2119	**52450.94**
ჩამოწერა						**0**
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**24745**	**43481**	**1038**	**3183**	**3196**	**75644**

16. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივი შედგება:

	2012 წელი	2011 წელი
შპს „პსპ დაზღვევა“	546 426	466 936
შპს „ნიუ კლინიკა“	2 208	
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი:	548 634	466 936

შპს „პსპ დაზღვევის“ გადავადებული საგადასახადო აქტივის სტრუქტურა:

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2012					
ძირითადი საშუალებები	311,710	37,107	(274,603)	15%	(41,190)
არამატერიალური აქტივები	15,138	14,489	(648)	15%	(97)
საგადასახადო ზარალი		3,918,088	3,918,088	15%	587,713
ზარალის ანარიცხი			-	15%	-
სულ	**326,848**	**3,969,685**	**3,642,837**		**546,426**

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2011					
ძირითადი საშუალებები	174 503	-	(174 503)	15%	(26 175)
არამატერიალური აქტივები	4 016	3 503	(514)	15%	(77)
საგადასახადო ზარალი	-	3 287 926	3 287 926	15%	493 189
ზარალის ანარიცხი			-		-
სულ	**178 519**	**3 291 429**	**3 112 910**		**466 936**

შპს „ნიუ კლინიკის" გადავადებული საგადასახადო აქტივის სტრუქტურა:

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2012					
ძირითადი საშუალებები	16,345		(16,345)	15%	(2,452)
არამატერიალური აქტივები			-	15%	-
საგადასახადო ზარალი		31,065	31,065	15%	4,660
ზარალის ანარიცხი			-	15%	-
სულ	**16,345**	**31,065**	**14,720**		**2,208**

17. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები – 914 212 ლარის ოდენობით წარმოადგენდნენ 2012 წელს დარიცხულ, მაგრამ წლის ბოლოსთვის ჯერ გადაუხდელ საერთო ადმინისტრაციულ ხარჯების ვალდებულებას. ამ თანხიდან 243000 ლარს წარმოადგენს შპს „პსპ ფარმა"-ს კრედიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს 2010-2012 წლის განმავლობაში *კომპანიის* მიერ საიჯარო ვალდებულებას. ხოლო 631 420 ლარს წარმოადგენს ვალდებულება შპს "პსპ აფთიაქი"-სთან, რომელიც წარმოშობილია პროვაიდერ კლინიკებთან კრედიტორული დავალიანების ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

18. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2012	ნაშთი 31.12.2011
	(ლარი)	(ლარი)
გადასახდელი გადასახადები		398
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		
გადასახდელი ხელფასები	42,856	29,743
აგენტის მომსახურება	1,919	
საბროკერო მომსახურება	27,994	2,608
	72,769	**32,749**

19. გადავადებული შემოსავალი

	ნაშთი 31.12.2012	ნაშთი 31.12.2011
	(ლარი)	(ლარი)
გადავადებული შემოსავალი სამედიცინო დაზღვევიდან	15931721	2935326
გადავადებული შემოსავალი სამოგზაურო დაზღვევიდან	2281	1927
გადავადებული შემოსავალი ავტოდაზღვევიდან	63893	37397
	15,997,896	**2,974,650**

20. კაპიტალი

კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი უდრის 9 000 000 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 7 945 697,55 ლარი. 2012 წელს მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა პარტნიორის გადაწყვეტილებით - 2 000 000 ლარით.

2012 წლის განმავლობაში დივიდენდები არ გამოცხადებულა.

21. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.